საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 898/ი

27 09 2019 წ.

ქ. თბილისი

## „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №372/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2019 წლის 27 სექტემბრის №1281263 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №372/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასებას ამ წესის დანართების სახით ჩამოყალიბებული კითხვარების მიხედვით.“.

2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №372/ი ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის,

საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ექსპერტთა საქმიანობის შეფასება განხორციელდეს ამ ბრძანების დანართის სახით დამტკიცებული კითხვარების შესაბამისად.

3. დამტკიცდეს იურიდიული პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს ცენტრის თანამშრომლის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

5. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბაღიშვილი

*დანართი №1*

## იურიდიული პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების ფორმა

| | |
|---|---|
| იურიდიული პირის სრული სახელწოდება | |
| წარმოების სახელწოდება | - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება;<br>- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების პირობების შემოწმება (მონიტორინგი) |
| პროგრამ(ებ)ის სახელწოდება | |
| ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის წევრების სახელი და გვარი | |
| ბრძანების რეკვიზიტები (ნომერი, თარიღი) | |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | |

1. გთხოვთ, ექსპერტის საქმიანობა შეაფასოთ ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით ვიზიტის მიმდინარეობისას

| შეფასების კრიტერიუმები | | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) | კომენტარი[1] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2 | ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი სრულად დაესწრო ვიზიტს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3 | ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფი სვამდა სტანდარტის შესაფასებლად საჭირო და მნიშვნელოვან კითხვებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4 | ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფი გაცნობილი იყო იურიდიული პირის დოკუმენტაციას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5 | ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია უკავშირდებოდა ვიზიტით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას* | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

[1] იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კითხვა შეფასდება 1 ან 0 ქულით, გთხოვთ, მიუთითეთ ექსპერტის ვინაობა და მოიყვანოთ მაგალითი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *იმ შემთხვევაში თუ ექსპერტს/ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუთხოვია დოკუმენტაცია მიუთითეთ კომენტარის სახით | | | | | |
| 6 | ექსპერტი პროფესიონალურად, სფეროში არსებული სიახლეების გათვალისწინებით, აფასებდა იურიდიულ პირს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 7 | ექსპერტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 8 | ექსპერტი მოქმედებდა კოლეგიალურად და კორექტულად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

2. საერთო ჯამში, 5 ბალიანი სკალის პირობებში, როგორ შეაფასებდით ექსპერტის მუშაობას

| 5 | 4 | 3 | 4 | 1 |
|---|---|---|---|---|
| ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

*(შენიშვნა: შეფასების სკალაზე 5 ქულა აღნიშნავს „ძალიან კარგ“ შეფასებას, 1 ქულა კი „ძალიან ცუდ“ შეფასებას)*

3. გთხოვთ, დამატებითი კომენტარებისა და მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში გამოიყენეთ მოცემული გრაფა

| |
|---|
| |

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

ხელმოწერა

თარიღი

*დანართი №2*

## ცენტრის თანამშრომლის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის საქმიანობის შეფასების ფორმა

კითხვარის შევსების თარიღი -------------

| | |
|---|---|
| იურიდიული პირის სრული სახელწოდება | |
| წარმოების სახელწოდება | - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება;<br>- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების პირობების შემოწმება (მონიტორინგი) |
| პროგრამ(ებ)ის სახელწოდება | |
| ექსპერტის სახელი და გვარი | |
| ბრძანების რეკვიზიტები (ნომერი, თარიღი) | |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | |

გთხოვთ, ექსპერტის საქმიანობა შეაფასოთ ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით

| შეფასების კრიტერიუმები | | დიახ (3 ქულა) | მეტწილად (2 ქულა) | ნაწილობრივ (1 ქულა) | არა (0 ქულა) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპერტმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2 | ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3 | ინტერვიუირების ჩატარებისას ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4 | ექსპერტის სვამდა სტანდარტის შესაფასებლად საჭირო და მნიშვნელოვან კითხვებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5 | ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა ინტერვიუირების პროცესში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6 | ექსპერტმა გამოიკვლია ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად და მოიპოვა შესაბამისი ინფორმაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7 | ექსპერტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 8 | ექსპერტი მოქმედებდა კოლეგიალურად და კორექტულად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

კომენტარი

| |
|---|
| ნარატივის სახით მოკლედ შეაფასეთ ექსპერტის საქმიანობა, ხოლო რომელიმე შეფასების კრიტერიუმის მიხედვით 1 -ით და 0-ით შეფასების შემთხვევაში მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები. |